საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9321/01
30/09/2020

9321-01-2-202009301513

შპს „აჩინებულის“ დირექტორს
ოთარ ორკოდაშვილს
მის: თელავის მუნიციპალიტეტი,
სოფ. კურდღელაური, 1-ლი IV შესახვევი N7

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 17 სექტემბრის N 14724 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თელავში სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილია 2020 წლის 17 ივნისის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N 2-505 ბრძანებით გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ძირითადი ტექნოლოგიური ხაზის ელემენტების განთავსება საპროექტო ტერიტორიის (ს/კ 53.08.37.048) მომიჯნავედ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 53.08.37.364), თუმცა განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- სკრინინგის განცხადებაში, ტექნიკური წყალმომარაგების წყაროდ მითითებულია საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული ნაკვეთიდან (ს.კ. 53.08.37.002) მილებით გადმოყვანილი წყალი. ამასთან უცნობია, რა წარმოშობისაა ეს წყალი, მიწისქვეშა, ზედაპირული თუ წყალმომარაგების კომპანიის. დაზუსტებას საჭიროებს მილის განთავსებისა და მისი პარამეტრების შესახებ საკითხები;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი საწარმოო ჩამდინარე წყლების წყალჩაშვების კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია როგორც 2020 წლის 17 ივნისის მინისტრის N 2-505 ბრძანებით გაცემული სკრინინგის, ასევე ახალი ნაკვეთის გათვალისწინებით საპროექტო ტერიტორიაზე ტექნოლოგიური დანადგარების განთავსების შესახებ, შესაბამისი სქემის მითითებით (საპროექტო ობიექტის გენ-გეგმა ორივე ნაკვეთის (ს/კ 53.08.37.048; 53.08.37.364) გათვალისწინებით);

- სკრინინგის განცხადებაში უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე მანძილი მითითებულია მხოლოდ ახალი საპროექტო ტერიტორიიდან (ს/კ 53.08.37.364), რომლის თანახმადაც, უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს 275 მეტრში, ხოლო მდ. მაწანწარა 140 მ-ში. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი დასახლებული პუნქტი (ახალი საპროექტო ტერიტორიიდან) დაშორებულია 243 მეტრით, ხოლო მდინარე დაახლოებით 65 მეტრით. ხოლო დაგეგმილი საქმიანობისათვის გათვალისწინებული ტერიტორიიდან (ორივე ნაკვეთის ს/კ 53.08.37.048; 53.08.37.364), მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე მანძილი 230 მ-ს, ხოლო მდ. მაწანწარამდე 59 მ-ს შეადგენს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს მანძილები უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე და მდინარემდე (მანძილი მითითებული უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიის ნაკვეთის კიდიდან, ორივე ნაკვეთის გათვალისწინებით).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „აჩინებული“ უზრუნველყოფს სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენას ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე